საქართველოს მთავრობის

დადგენილება №97

2017 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2015, 130000000.10.003.018773) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი №10 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი №10

კონტრდაზვერვის დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი, რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსი	2355
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1315
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1475
განყოფილების უფროსის მოადგილე, უფროსი ინსპექტორი	1230
ინსპექტორი	1105
უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, მთავარი სპეციალისტი	1040
ოპერატიული თანამშრომელი	965
თანამშრომელი	790